

# ოძროს 370ძი

ლილერაცია,  
ხელოვნება,  
პრიციპა.

33065  
16 ივნის.



ფას 10 ლ.

№ 4.

„ოქროს ՅԵՐՃՈ“

„კუველტკირეული ჟურნალი „ოქროს ვერბი“ გამოდის 19 მაისიდან.

ეურნალი ემსახურება ლიტერატურას, ხელოვნებას და კრიტიკას.

თანამშრომლებათ მოწვეულნი არიან ყველა ჩვენი გამოქვერცხილი თანამედროვე მწერლები.

წლიურ ხელის მომწერლებს დაურიგდებათ დაშატებათ კრებულები ჩვენი ახალგაზდა მგოსნების და ბელეტრისტების ნაწერებიდან შეღებანილი.

Кутаись, Казаковскій пер.  
„ОКРОСЪ ВЕРДЗИ.“ უურ-  
ნალის დასაკვეთი ფასი უნდა  
გამოიგზავნოს კანტორის სახელ-  
ზე. ტელევიზრამებისათვის: Ку-  
таись „ВЕРДЗИ“

განცხადებები შერჩევით. კალკი № ყველაზე 10 ა:

ଲ୍ୟାଙ୍କାରି-ଗାମୋହି ଜୀମ୍ବଳୀ ପ୍ରଦୀପ.

მიიღება	1 წ.	6 თ.	3 თ.	1 თ.	საზღვარ გარეთ ერთი-ორათ.
ხელის		2 პ.	1 პ.		
მოწერა.	5 პ.	50 პ.	50 პ.	40 პ.	

ორშებათის საპოლიტიკო და სალიტერატურო განვითარების

# “Maan”

რედაქცია და კანტორა: Тифлісъ Редакція газ. „ТЕМИ“.

გაზეთი სდგას პარტიითა გარეშე გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით. როგორც

1911 ፲፻ 1912 ፲፻፱.

ის ხელისმომწერლები, რომელნიც ამ ხანად გაღინძიან გაზეთის წლიურ ფასს მიიღებენ

મ ર ત ર બ એ ન સ દ

- ს. აგაშელის ლექსთა კრებულს ავტორის სურათით, ბიოგრაფიით და ბ. ივანე გომართ-ლის კრიტიკული წერილით..
  - კ. მარაზვილის ლექსთა კრებულს ავტორის სურათით და ბიოგრაფიით.

ფასი გაზეთისა: წლიურად—2 გ. 50 კაბ.; ხახევარ წლით—1 გ. 25 კ. ერთი თვეით—25 კ.  
რედაციონური გამომცემელი 3. დიასტამიდ.

## სიუგარული.

5. ჩხილაძე.

ბაღში ვნახე ტურფა ვარდი ეკლის ბუჩქზედ ამოსული,  
მძივად მსხვრეულ მზის სზივებით შემული და გაფურაქენული,  
სიოს კუცნით ირხეოდა ლურჯ ფოთლებით შეფუთნული  
და შორიდან, მოკრძალებით უგალობდა მას ბულბული.  
გამიკეირდა მისი ქცევა, ქსოვი თუ იგი რამ შეზალა?  
ვარდთან რა აქეს მას საერთო? რა სურვილი დაეძალა?  
მიველ ვკითხე: რად უგალობდ? მასში რაა დაფარული?..  
ის შიშითა შეფოთხილდა, გასაფრენად ფრთა გაშალა,  
დასტურია და სიმღერითა მიპასუხა: „სიყვარული!“

\* \*

ვნახე ქალი, ცაცხვის ძირში გულ ამოსკვნით ცრემლსა ღვრიდა,  
მწუხარებით შენაზარი ხუჭუჭ თმებსა დაბლა ჰყრიდა,  
ხან უსიტყვოდ ქვითინებდა, ხან სიკვდილსა ინატერიდა  
და ცაც ქვაზედ უბედური მწუხარებით თავისა ხრიდა.  
გამიკეირდა მისი ხვედრი, შემებრალია განაწირი,  
მომესურვა, რომ გამეგო მისი სევდა-გასაჭირი  
და ვკითხე მას; რა გამწარებს? ვინ გყავს ქალო დაკარგული?  
შიშითა და მოკრძალებით მოიბრუნა ჩემსკენ პირი,  
საფლავისკენ მიმითითა და მომიგო: — „სიყვარული!“

\* \*

ვნახე გმირი მყლავ-მედგარი, ახალგაზდა, საესე სრული,  
ველად ეგდო სულთ მობრძავი მტრის ისრითა განგმირული,  
მაგრამ იგი არ კვნესოდა მამულისთვის განწირული,  
და ბრძოლისთვის სხვებს იწვევდა მისი სიტყვა, ხმა გმირული.  
გამიკეირდა საქმე მისი, ვაუკაცობა საოცარი,  
მიველ მასთან, მივესალმე და თამაბად ეს ვუთხარი:  
— ესდენ ძალას აწ რა გაძლევს: როს დაჭრილსა გხდება სული?..  
ხან მომაბყრო სიყვარულით სახე თვისი მოლიმარი,  
მშობელ მიწას ხელი დაჭრა და მომიგო: — „სიყვარული!..“

6. ჩხილაძე.

# ბე და ლამე

## 8. თაბივა.

ეხლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუა-ლამე იწვის, ღნება.

სიო სარკმლით მონაქროლი ველთა ზღაპარს მეუბნება.

მთვარით ნაფენს არე-მარე ვერ იცილებს ვერცხლის საბანს,

სიო არხევს და ატოკებს ჩემს სარკმლის წინ იასამანს.

ცა მტრედისფერ ლურჯ სვეტებით ისე არის დასერილი,

ისე არის სავსე გრძნებით ვით რითმებით ეს წერილი.

საიდუმლო შუქით არე ისე არის შესუდრული

ისე სავსე უხვე გრძნობებით, ვით ამ ღაშეს ჩემი გული.

დიდი ხნიდან საიდუმლოს მეც ლრმად გულში დავატარებ,

არ ვუმჟღავნებ ქვეყნად არვის, ნიავსაც კი არ ვაკრებ.

რა იციან მეგობრებმა თუ რა ნაღველს იტევს გული

ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ შენახული.

ვერ მომპარავს ბნელ გულის ფიქრს წუთი წუთზე უაშესი,

საიდუმლოს ვერ მომტაცებს ქალის ხვევნა და ალერსი.

ვერც ძილის დროს ნელი ოხვრა და ვერც თასი ღვინით სავსე

ვერ წამართმევს მას, რაც გულის ბნელ სივრცეში მოვათავსე.

მხოლოდ ღამემ უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ

იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ღამემ..

იცის — როგორ დავრჩი ობლად, როგორ ვევნე და ვეწამე,

ჩეენ ორი ვართ ქვეყანაზე: მე და ღამე, მე და ღამე!

*ვ. ა. მარა*

## რაბინდრანათა ტაგორ:<sup>\*</sup>

გიტანჯალი (მსხვერპლთ-შეწირვა).

ბავშები თამაშობენ უსაზღვრო ქვეყანათა ნაპირს.

ბავშები აშენებენ სილისაგან თავიანთ სახლებს და თამაშობენ ცალიერ საღაფებით.

გაყვითლებულ ფოთოლთაგან ხლართავენ ისინი გემებს და მხიარული სიცილით ჩაუშვებენ მათ უსაზღვრო ოკეანეში.

ბავშები თამაშობენ ურიცხვ ქვეყანათა ნაპირს.

მოთამაშეთ არ იციან არც ცურვა და არც ბადის სროლა.

მარგალიტთა მაძიებელნი ყვინავენ სადაფთა საძიებლად; ნაოსანნი ამზადებენ გემებს და მომართვენ მათ, ხოლო ბავშები კენჭებს აგროებენ, რომ შემდგომ გააბნიონ ისინი.

მოთამაშენი არ ეძებენ დაფარულ საუნჯეს და არც იცლიან ბადის სროლას, ზღვა ხითხითებს ტალღებით და სუსტი ღიმილით აკვდება შემდგომ ნაპირის სილას.

სასიკვდილი ტალღანი უმღერიან ბავშებს სიმღერებს, უმნიშვნელოს, ნანას უმღერიან, ვით დედა ბავშის აკვანის მრწეველი.

ზღვა თამაშობს ბავშებთან და სუსტათ ციალობს ტალღათა მკრთალი ღიმილი ნაპირის სილაზე.

ბავშები ხვდებიან ერთმანეთს უსაზღვრო ქვეყანათა ნაპირს.

ქარიშხალი მიაქანებს აბნეულ ღრუბლებს;

გემები იღუბებიან უკიდო ზღვათა წიაღში;

სიკვდილია ყველგან, ბავშები კი განაგრძობენ თამაშს.

უსაზღვრო ქვეყანათა ნაპირს უკუნით იკრიბებიან ბავშები.

*შეკვეთის მომატება*

\* ) თანამედროვე ინდოეთის მგოსანი. გადაითარგმნა ინგლისურ ენაზე და სულ ცოტა ხანში ოთხჯერ გამოიტა.

## გულთამშილავის მსჯავრი.

ღმერთის წინაშე ირი ადამიანი წასდგა.

უცვლელი სახე უფალმა მათ მიაპყრო და გულთამშილავი თვალებით დააცეკრდა.

— იცოდით ნება ჩემი?

— გიცოდი, უფალო! წამიკითხავს დაბადება, შემისწავლია წმინდა სახარება, სამოციქულო, წმიდა მამათა ცხოვრება; ზეპირათ ვიცი საგალობელნი და ლოცვები.—მოახსენა ერთმა მეორე სდუმდა.

— შენ?—დაეკითხა მღუმარეს ღმერთი.

— არ ვიცი, არ წამიკითხავს.

შეასრულეთ ნება ჩემი? — იკითხა კიდევ უფალმა.

— გზითა მართლითა ვიდოდი; საპყროთა განვიკითხავდი; მიყვარდა ძმა ჩემი, ვითარცა თავი ჩემი; შენ მხოლოდ ერთსა თაყვანსა გცემდი.—მიუგო პირველმა.

მეორე სდუმდა.

— შენ?—დაეკითხა მღუმარეს ღმერთი.

— არ მახსოვს, უფალო, და, მგონია, არც ყოფილი ართი რამ.

— შეასრულე ათ მცნება?— განაყრძო უფალმა დაკითხვა, თუმცა ყოველივე იცოდა უზენაესმა.

— დიახ, უფალო! არც ერთი არ დამირდევა!—მიუგო პირველმა.

მეორე ისევ სდუმდა.

— შენ?

— რა?

— არა! ორფეხი ცხოველი, ადამიანს რომ უძანიან—ის კი.

— გითქვამ ტყუილი?

— ტყუილი არა! უხეშ სინამდევილეს რომ აფერადებდა, და ლამაზ აცნებათ ხდიდა, ისეთი კი... ბევრი.

— გიმრუშია?

— არა არსებათ კი გარდავჭმილვართ, და ერთმანეთის ცეცხლის ალში კი დავმწვარებართ!

— გიგმია ღმერთი?

— არა! ის ძალა კი, ადამიანს რომ უკუღმართ გზაზე დააყენებს, სიცოცხლეს გაუმწარებს—ის კი ხშირათ.

— თაყვანს სცემდი ჩემს გარდა სხვა ღმერთს?

— ერთ ღმერთს თაყვანსა ვცემდი ღმერთს სიყვარულისას, იმედისას, შვენიერებისას.

უცვლე დალუმდა.

— რა გსურთ ეხლა?—დაარღვია ღმერთმა სიჩუმე.

— განსვენება ადგილსა ყვავილოვანსა!—საჩაროთა უპასუხა პირველმა.

მეორე სდუმდა.

— შენ?

— ნუ მათქმევინებ—გარისხდები, უფალო!

— მოგენიშოს!—ბძანა უფალმა და გულთამშილავის უცვლელმა, მკაცრმა სახემ ნისლი გადიყარა.

მღუმარე ადამიანის წინ გაჩნდა მომდინარე, ვარდებით შემული, ლამაზი ქალწული. მას ნეკტარით სავსე პატარა თასი ეჭირა ხელში. შორიდან კი იშოდა ქარის ხმა.

— მე რალა, უფალო? შეეკითხა პირველი ადამიანი ღმერთს.

— შენ ჯერ არ გიცხოვრია:— შენ ჩემს არტახანში იყავ გაურული. პირადათ შენ, რისი მომქმედი ხარ,— არ ვიცი. იქნებ ყოვლად ცუდი და საზიზღარი იყო, და როგორ დაგაჯილდოვა?— წალი ისევ ქვეყნად.

## ნ. ღლორთჟიაფნიძე.

## უცნაური ჭუთები

### 6. იტარებია.

#### კ. ჯორჯიბია.

ქალს მეტათ რთული ხასიათი აქვს. მის არსებაში ყოველთვის არის რაღაც გამოურკვეველი, უცნაური ძალა. ასეთი თვისება ჩემს სატრფოს ხასიადშიღაც ხშირათ ჯოჯოხეთურ ძლიერებით იშლებოდა ხოლმე.

ერთხელ მის საწოლ რთახში ვიყავი წამოწოლილი, ის იქვე იჯდა და რაღაც მელაბარაკებოდა.

მე კი მის სახეს ჩინკეროდი: საჩქმელიდან მომავალი სინათლე ქალის თეთრს ლოყებს, მაღალ ბელს და ცის ფერს თვალებს თეთრი მარამარილოს ელვარებას აძლევდა. მოელის მის გამომეტყველობას გაღაკროდა თხელი ნისლი დალლილობისა, რაც ამ წუთში მას მეტს სინაზეს და მიმზიდველობას გვრიდა.

ის იყო მის ეშინანს ტუჩის დავეკონე, თითონაც ხელი გადამხვია, რომ მიესცემოდით იმ ძალვის ამშლელ ხორცის. ლოთობას, რომელსაც ხშირათ ვეძლერიდით ხოლმე.

უცებ მეზობელ რთახში ფეხის ხმა გაისმა.

— ჩემი ქმარი! წაიბუტბუტა ქალმა.

— დავიღუბეთ! ესთქვი მე.

— ჩუმათ, მითხრა ქალმა და ერთს წუთს ოთახიდან გაქრა.

გული საოცრათ მიცემდა. ფერი წმივიღდა.

ყოველ წამს მოველობიდა საშინელ შეხვედრას იმ ადამიანთან, რომლის ბედნიერებით ასე ქურდულათ ვსარგებლობდნ.

— ცოტა ხნის შემდეგ კარი გაიღოდა ოთახში ქალი შემოვიდა.

— გადავრჩით? — დავეკითხე მას.

— სს! ჩუმათ, იგი აგერ მეზობელ ოთახში მაგიდას უზის და სწერს... მოდი, მოდი ჩემო აუცნება და გადამეხვიერ... მითხრა ქალმა და ჩემსკენ მოიწია.

— როგორ? რას ამბობ? ახლა? ხომ არ გაგიღდი!..

— ახლა, დიახ, ახლა. მე მსურს, გესმის, მე მინდა, რომ ამ წუთს, როდესაც ჩემი ქმარი ასე ახლო იმყოფება, შენთან ვიყო... ჰო, ეს ჩემთვის უდიადესი ნეტარება იქნება!... მე ამაზე უტებესი ნეტარება არა წარმომიდგენია რა!.. თუმცა საფრთხე ისე ახლა, რომ თვალის ქუთუთოს ეხება, სიკვდილი ჩემგან სულ რამდენიმე ნაბიჯზეა, მე კი ახლა, დიახ ახლა მსურს სიყარულის გიურ სინამდვილეს გავყვე... მაკოცე... გესმის თუ არა, მაკოცე... მაკოცე...

ქალს სახე გაფითრებოდა. იგი რაღაც სატანურ ძალას დაეფლო და ჯოჯონხეთის საშინელ ნექტარს დაეთრო.

— დამშვიდდი თუ გიყვარდე, განა არ ხედავ თუ რა საშინელი მდგომარეობაში ვართ...

— ოჰი! არა! ახლავე გადამეხვიერ... ან ახლა და ან არაოდეს! ძლიერ წამოიძახა ქალმა. ტანი ისე უცახახებდა თითქოს ელექტრონის ტალღების ზე-გავლენას განიცდისა, თვალები აღნავ ქონდა გაღებული და პატარა ტუჩებიდან თეთრი კბილები ბროლივით ელივდა.

ვხედავდი რომ მცირე ყოყანი რარივეს დამ-ლუბავია, ჩემში ყველაფერს კაცურს ვძლიერ, ქალს ხელი მაგრა დავავლე და ორივემ თავი მივეცით ნეტარების უცნაურ წუთებს.

## ნაზარეველი თლიზებე.

შაქს გლიცერის ქანდაბზე.

...და ღმერთების მეჯლისში წამს სიჩუმე ჩამოვარ და როდესაც იესომ მათ სამყოფში კრძალვით, თავის ეკლიო დასერილი ფეხი შეადგა.

ეკვემდებარების შარავანდით გაცისკროვნებული თავი მაღლა ასწია.

წარბები გაცემის წილად დახსარა.

„აქ რა უნდოდა ნაზარეველს, კაცს ღმერთთა შორის!“

და აღშფოთებისფან ნეკტრით აღსავს თასი აილ ერთი აღვილიდან მეორეზე გადაღგა.

ერთ წამს თითქმის მარმალილოს ღრუბელები შეირყა, შეტორტმანდა მის ფეხ ქვეშ.

აფროდიტეს — ტუჩების კუთხებში, ზიზლით ნარევმა ლიმმა გადურბინა.

სწორედ ისე როგორც მოვერცხლულ, მოკაშ-კაშებულ ცის თაღზე პაწია ღრუბლის ნაჭერი გადაირას.

მუქი ღრუბლის ნაფლეთი.

„საცლდავი ებრაელი“ გაუელვა მას თავში, როცა ნაზარეველმა თავისი მიმქრალი, ტანჯვისგან ოდნავ ჩაფერული თვალები ირგვლივ ტაურის ტაურის პურპურ გადასხმულ სახეებს მიმოავლო.

ბახულის ქართველი ფეხის ფეხი ბაგე უზრუნველმა ლიმმა გახლიჩა.

მაგრამ ერთ წამს მის სისხლიან შუბლს თვალი ვერ მოსწყვიტა. საესე თასისაკენ გაწვდილი ხელი ანგარიშ მიუცემლად გააქნია — და წითელი ღვინო სუფრაზე გაღმლილვარა.

„საცლდავი ებრაელი“,

კილევ გაიფიქრა ავროდიტემ და აქამდი შეუმნეველი ლიმილი უკევ ხმი მაღალ სიცილათ შეიცვალა.

აფროდიტა იცინოდა.

იმ გვარი სიცილით შეუბლია ქალს მხოლოდ მაშინ გაიცინოს, როცა იგი მამა კაცს, — შებრალების თვალებით გადმოხედავს. ზიზლ ნარევ შებრალების.

სიჩუმე.

თასების მხიარული წკრიალი.

კელვ შეკავებული სიცილი.

იესოს სახეზე კი, იგივე აუმღვრეველი სიმშეიდე, იგივე კრძალვით მოსილი ფერნაკლულობა.

კველა იცინოდა

შხოლოდ ფსიქეა მის ფერხთით განენთხო. ფსიქეა კრილობებს უკოცნიდა.

მის ბავის შეხებიდან წყლულებზე სისხლი მოწვეთავდა.

პეტრე მოციქული კი, რომელიც იქსოს აქამდა მოყოლოდა და შიგ შესვლა ვერ გამზედა კარგბან ატუზულიყო სმენად ქცეული. ცალკე გაკვირვებისა და ცალკე სირცხვილისგან საჩვენებელი თითო ტუჩებთან მიეტანა და საკუთარ თითო კბენდა — იყი უყურებდა მას აგრე აღუშფოთველს — უკვირდა — სირცხვილისგან იწვოდა. იმ წამს კარზე მდგარ მოციქულს ეჩვენებოდა რომ მისი მოძღვრის სისხლი ძალიერ მიაგვედა იმ წითელ ღვინოს, რომელიც მას წინად ბახუს სუფრაზე დაექცა. ბახუსი ახლაც დასჩერებოდა იმ დაქცეულ სასტელს. „ნეტავ ვის რა ენალვება უფრო, ფიქრობდა პეტრე, აღამიანებს ნახარეველის სისხლი თუ, ბახუს დაქცეული ღვინო? ნეტავ?

ჭ. აბაშიაშვილი.

## სულნი ერთმანეთს ელტევიან

მაგრამ მებნაში იღუპებიან.

დია ჩიახელი.

(ლეგნდა).

მგოსანი განმარტოებით ზღვის პირას უმაღლეს კლდეზე ატარებდა თავის საუკეთესო წამებს. რა პირველი ნიავი შუა დღის შემდეგ გადმოიქროლებდა მთის თხემის ერთს გორაკზე, სადაც იგი ცხოვრებდა — მგოსანი ჩანგს ხელს მოკიდებდა; გულს ჩაიკრავდა ნიავის ლოცვას, მისი ბუტბუტით სევდის საკრავის სიმებს დაბერავდა და ნელის ნაბიჯით საყვარელ კლდეზე აცოცდებოდა...

გადაღებოდა პატალო ქვაზე მჯდომი, და ნაღვლიანათ აკვენებდა ჩანგს. ქვეშ ზღვა ნელა დუღუნებდა, ხან კი გულმოსული ბრაზათ სიპ კლდეს ხეთქებოდა. მგოსანი კი სევდიანი აულერებდა სევდის საკრავს, მგოსანი კი სისხლით, და ცეცხლით შექმნილ ლექსებს ამდერებდა და ზღვის ტალღებს გულში აწნიდა.. პირველი მისი ამონაკვენესი, როცა პიტალო კლდეზე ავიდოდა — თვისი ცხოვრების პარველი კარი იყო, რომელიც მისთვის დასწყისიც იყო და დასასრულიც — აქ იგი მოსთქვამდა, თუ როგორ იზრდებოდა იგი სასხლეში, როგორ თამაშობდენ ერთათ იგი და მშვენიერი მისი ტოლი მეფის ასული, როგორ გაიზარდენ და ერთმანეთს,

დააშორეს, მაგრამ მას მაინც გულში ქონდა ასულის უკვდავი ხატება... ბოლს, როგორ შეიქმნა იგი მოსანი, როგორ აღტაცებაში მოყვადა ცველა. დასასრულ როცა მეფის ასული პირველათ ნადიმში გამოვიდა, რა მოხიბლავით და ჯადოსნურათ ააქლერა ჩანგი და დაუსწრებელი აღტაცება გამოიწვია, მაგრამ — აქ მისი ხმა — ტირილათ შეცვლებოდა, რადგან აქ მოთხოვილი იყო, როგორ მოინდომა მეფემ მისი კარის მგოსნათ აყვანა, რომ თვისი ჩანგის ულერით მეფე — დიდებულნი დაეტყობ; დიახ, ეს მოინდომა მეფემ და სათუთმა და ამაყმა სულმა ეს ვერ აიტანა — და მოშორდა სასახლეს. მოშორდა სასახლეს, მოშორდა დიდებულებს — რადგან არ გასცავალა წმინდა აღფრთვანება — კარის მგოსნობაში, არ გასცავალა თავისუფლება — მეფის ბრძანებაში — მეფის პატივში. მოშორდა სასახლეს და მეფის ასულის სიყვარულით გულ დაკოდილი მთაში გაიჭრა.

არავინ არ იცოდა თუ სად სცხოვრებდა მგოსანი, მხოლოდ ხანდახან როცა რომელიმე გემი გაისრიალებდა იმ მიუვალ კლდის პირას, სადაც მგოსანი ჩანგს აულერებდა მეზღვაურები გაიგონებდენ ლეთიურ ხმას, სმენათ იქცეოდენ და კვირობდენ.

2.

ერთხელ იმ გემმაც გაიარა, რომელშიც ახლათ გათხოვილი მეფის ქალი იჯდა — მწარე დაღონებული, ფიქრში წასული მშვენიერი უეცრად გამოერკვა — მას მოესმა ტკბილი ხმა — რომელიც სევდის ძაფებით იყო მოქსოვილი, ყური მიუგდო. შეკრთა იცნო.

— ეს ის მომღერალია, რომელიც ჩეენი სასახლიდან გადიკარგა. ეს ის მგოსანია, რომელმაც არ მოინდომა კარის მგოსანი გამხდარიყო. ჩაფიქრდა ნეტავ რათ წავიდა ჩვენგან, ალბათ კარგათ არ დააჯილდოვეს, ალბათ პატივით ვერ მოეპყრენ!

გემი მისრიალებდა, კლდეს მოშორდა. მგოსნის სევდიანი ხმა კი კიდევ ისმოდა..

მეფის ქალი რაღაც ტკბილმა ქრუანტელმა შეიპყრო და მოინდომა როცა თავის ქართან მიყიდოდა იმ მგოსნის სასახლეში დაბარება. დაბრუნებისას კაცები აფრინა — მაგრამ ამაო იყო მათი ძებნა — მათ ვერ იპოვეს სევდის მგოსანი.

მეორეთ გააგზავნა მეფის ასულმა მოციქულები — მაგრამ ამაო იყო მისი სურვილი, თუმც იპოვეს იგი — მაგრამ განა შეეძლო დვთიური ძალით აღფრთვანებულს, სევდისა და ტანჯვის ცეცხლით აღგზნებულ მგოსანს მოშორებოდა სიპ კლდეს — მქუჩარ ზღვის ტალღებს და წმინდა თავისუფლება, ლა-

ლი აფრთხოება მეფის ასულის — პატივში გაეცვალა? არა! და იგიც იქვე დარჩა.

მაგრამ არ ისევნებდა მეფის ასული — იგი მეოსნის მოგონებით სკეპტიკიზმით, მასზე ოცნებობდა, მისი ტებილი და მწუხარებით საგვე ხმა — ყურებში ჩაშინდა და ოვისკენ იწვევდა. ბოლოს ვეღარ აიტანა და როცა ნაზი მოვარე მოცურდებოდა ხოლმე — ერთგული მხლებლებით მეფის ასული სასახლიანა აჩრდილივით გამოსცურდებოდა და ობოლი ნავით ზღვის ტალღებში შესცურდებოდა სანატრელ კლდისკენ ილტვოდა, რომ შორით ეშმინა უცნაური მგოსნის ჰანგები.

## 3.

მოვარე კაშპაშებს. ზღვა ნელა თრთოლავს — კვნესის, ბუტბუტებს — და მეოსნის საყარელ კლდეს ნელა კოცნის, გულს იკრავს. მეოსნი კი ქვაზე მჯდომი ნაზით აკვნესებს ჩანგა. იგი დამდერის თავის იბლობას, ჩაკვნესის მეფის ასულით დამწვარ გულის საიდუმლოებას:

— მეფის ასული, დამდერის ჩანგა, მართალია შენი სიყვარულით კრთის იგი და იწვება, მაგრამ ვერა, ვერ მოვალ შენთან სასახლეში, რომ შენი კარის მეოსანი გაეხდე, რომ მეფის ბრძანებით მე ჩანგა ვაჟდერებდე, რომ დიდებულების ქეიფზე მე ლექსებს ვერ გვიდე, ვერა მეფის ასულო — დიდი მეფის მეუღლევ, ვერ მოვალ მე სასახლეში!

— მე ამაყი ვარ — ჩემი ჩანგი არაა შვების საკრავი. მე თვით არა ვარ შვების მკოსანი, რომ ჩემი ხმითა და ლექსებით ყველა დატებეს! არა მეფის ასულო, ვერ მოვალ სასახლეში! არ მინდა მე პატივი, ოქრო-ვერცხლი, მე მინდა მხოლოდ თავისუფლება. შენ, შენ მოდი ჩემთან მეფის ასულო, თუ გინდა გაიგონა ჩემი სევდის ჰანგი, შენ, შენ მოდი და მე შენი სიყვარულით მიბნელილი — დაგო-ჩოქებ და გიმდერ ჩემი გულის მოთქმას, ჩემი სულის ტანჯვას. მოდი, მოდი, მეფის ასულო!

გაიგონა ეს მომჯადოებელი — ტანჯვით შექმნილი სიმღერა ნაესა შინა მჯდომარე მეფის ასულმა და ბრაზმა შეიძყრო

— როგორ მე რომ მივიდე მასთან? არადროს! ნავი გამრუნა. მაგრამ ჩაფიქრდა: რათ გაუჯავრდა თავის თავს, განა იგი მეფის ასული — მეფის შეუღლე, მშვენიერი დელფინალი არ იყო კლდის ძირას და მეოსნის სიმღერას არ ისმენდა? მაშ რათ ბრაზდება. თვითონაც ვერ მიხვდა. გულმა ცემა დაუწყო. უცებ გრგვინვა მოისმა, მოვარე ღრუბელმა და-ფარა. დელფინალი ფიქრში წასული, მისთვის არა-

ფერი აღარ არსებობს, მას სურს, მხოლოდ ჭიდვე ვოსნინოს მგოსნის სევდიანი სიმღერა.

— კლდისკენ. გასცა ბრძანება.

— ზღვა ღელავს, დელფინალო, შეუძლებელია!

— კლდისკენ. მას მეტი აღარაფერი ესმოდა... მიუახლოვდა. ზღვა ბობოქრებდა. ღრიალებდა. მოისმა მგოსნის სიმღერა.

— მოვედი, მოვედი მგოსანო, გაისმა ზღვის ქუხილთან მეფის ასულის ამოძახილი, მაგრამ მისი ხმა მოიტაცა შორით მონაბერმა ქარიშხალმა და ზუზუნით ზღვის შუა გულს ჩააკლა.

— მოდი, მოდი მეფის ასულო, ისმოდა მგოსნის სიმღერა და ჩანგის ბოლმიანი გამოძახილი.

— მოვედი. ცაზე დაიგრიალა, გაიკვესა. ქარიშხალმა მეტის სიძლიერით ამთაგორა ტალღები, მოიტაცა იბოლი ნაევი და კლდეს მიარეხვა.

— მოდი, მოდი. — ჩაესმა ასულს ყურში, იმ დროს, როცა კლდეს ტალღამ საშინელი სიძლიერით მიარტყა.

— მო... ეს ღა მოასწრო და მეშინავმა ტალღამ სამუდამო შთანთქა მისი სიყვარულით საესე გვამი.

## 4.

ზღვა ბობოქრობდა. ცა კვესდა, — ღურბლება გრიალებდა. მგოსანი პიტალო ქვაზე მდგომი სტრიქიონთა ტანჯვას ყურს უგდებდა და თვითონაც იტანჯებოდა. უცებ იგი რაღაც გიუჟურმა აღფრთოვანებამ შეიძყრო, ზღვას დააშტერდა — აღელდა. ცამ იკვესა. ზღვას თვალი მოავლო. მან ზღვის ტალღებში მომღიმარი მეფის ასული დაინახა, რომ მელიცა თვისკენ იწევდა. წამი. და უკანასკნელათ გაკრა თითები სიმებს და მშვერვალიდან ზღვაში გადაეშო.

უკანასკნელათ გააურეოლა ზღვას; უკანასკნელათ დაიკვესა ცამ და ღრუბლები ერთათ შეეუმშა. მოვარემ გამოანათა. ზღვაც თითქო ამ სხვერპლს უცდიდა დაწყნარდა...

შორს ზღვაში გადაბრუნებული ნავი დასცურვდა. ქვიშოვან ნაპირზე კი ორი გვამი ერთმანეთს თითქო ჩაეკრიდენ. ისინი ზღვამ გამოაგდო; მათ მოვარე ხარბათ დასცეკროდა და თავის სხივებში ბანდა.

და ჩანგელი.

# ელევაზარი

ლეონიდ ანდრეევიდან.

ტ. ტაბიძე.

IV.

ამ დროს ცხოვრობდა რომში ერთი დიდებული მოქანდაკე, მარმალილოსა, თიხასა და ბრინჯაოსგან ის ქმნიდა ღმერთებისა და ადამიანთა ტანს და ისე ღვთაემრივი იყო სილამზე მათი, რომ ხალხმა მას უკვდავი დაარქვა. მაგრამ მოქანდაკე მაინც უკამაყოფილო იყო და ამტკიცებდა, რომ არის რაღაც ჭეშმარიტად ყველაფერზე ულამაზესი, რამელიც არ შეუძლია მას ვადაიტანოს მარმალილოსა და ბრინჯაოზე, კიდევ ვერ შემიკრებია მე მთვარის სხივები, კიდევ ვერ დამორჩალვარ მე მზის სხივებით და არ არის ჩემ მარმარილოზე სული, არ არის სიკოცხლე ჩემ ლამაზ ბრინჯაოზე. და როცა მთვარის დამეში ის მიდიოდა გზაზე და გადაჭრიდა შავ ჩრდილოებს კიბარისთა, შეხვედრილნი მას მეგობრულად გაუცინებდენ და ეტყოდენ.

— მთვარის სხივები, ხომ არ გინდა შეკრიბო არკელიუსს?

— რაისთვის არ წამოიღე თან კალათა? და ისიც სიცილით ეუბნებოდა, უჩენებდა რა თავის თვალებზე.

— აი ჩემი კალათები, სადაც ვკრებ მე მთვარის სხივებს და მზის ბრწყინვას.

წარმოსდგებოდა ის ძველი პატრიციების გვარიდან, ყავდა კეთილი ცოლი, ლამაზი ბავშები და ორაფერში არ გრძნობდა დანაკლისს. როცა მოციული რომში ამბავი ელიაზარზე, არკელიუს მოელაპარაკა თავის ცოლს და მეგობრებს და გაემგზავრა შორეულ გზაზე იუდეიში, რომ შეხედა სასწაულით ამდგარისთვის.

ცოტა მოწყენილობას გრძნობდა ის ამ დღეებში, მაგრამ თანდათან იჩრდებოდა გზაში უურადება და ცნობის მოყვარეობა.

რასაც მოუთხრობდენ ელიაზარზე, მას სულაც არ აშინებდა. ის ბევრს ფიქრობდა სიკვდილზე, არ უყვარდა სიკვდილი, მაგრამ არ უყვარდა არც ისინი, რომელნიც სიკვდილს სიცოცხლეში ურევნენ. ამ მხარეზე მშვენიერი სიცოცხლე, იმ მხარეზე საიდუმლო სიკვდილი ფიქრობდა ის და არაფერი ამაზე კარგი არ შეუძლია ადამიანს გამოიგონოს, როცაც შეხარიდეს ამ მშვენიერ სიცოცხლეს და ის კიდეც ფიქრობდა გულში, რომ ამაში დაარწმუნებ-

და ელიაზარს და დაუბრუნებდა მის სულს სიცოცხლეს, როგორც დაბრუნებული იყო სხეული. მით უფრო შესაძლებელი ხდებოდა ეს, რომ ამბავი, რომელიც ელიაზარზე მიღოლდა მის ყურამდი, არ გამოსცემდა სრულ კეშმარიტებას და მხოლოდ აფრთხილებდენ რაღაც საშინელების წინ.

უკვე ადგა ქვიდან ელიაზარი, რომ გამოდგომიდა მზეს უდაბნოში, როცა მიუახლოვდა მას მდიდარი რომაელი, შეიარაღებული გონით და ხმამაღლა დაუხისა:

— ელევაზარ!

და შეხედა ელიაზარმა მშვენიერ და ამაყ სახეს, დიდებით გაბრწყინებულს, ნათელ ტანისამოსს, ძვირფას ქვებს, მზის ქვეშ რომ ბრწყინავდენ. წითელი სხივები მის თავს აძლევდენ ბრინჯაოს ფერს და ეს ელიაზარმა შეამჩნია. გაუგონა და დაჯდა ის თავის ალაგას და დაღლილი თვალები დაუშვა ძირს.

— შენ ულიმაზო ხარ ჩემო საბრალო ელიაზარ, ამბობდა მშვიდად რომაელი და ათამაშებდა ოქროს ძეწკეს ხელებზე. შენ საშინელი ხარ ჩემო მეგობარო კიდეც. და სიკვდილი არ ყოფილი ზარმაცი იმ დღეს, როცა შენ იმას ჩაგარდნისარ ხელში, მაგრამ შენ სხვილი ხარ, როგორც გულა და ამისთანა ხალხი არას დროს არ არიან ბორიტი ასე ამზობლა დიდებული კეისარი, და მე ვერ გამიგია რისავის გიფროთხიან შენ ადამიანები.

მომცემ განა ნებას შენ სახლში გავათიო დაშე? უკვე დაღმაზდა და მე არ მაქვს თავ შესაფარი.

ჯერ არავის არ უთხოვია ელიაზარისთვის ღამის გათევა:

— მე არა მაქვს საწოლი, მიუგო მან.

მე რამდენმდე მხედარი ვარ და შემიძლია მჯდომარემ ვიძინო მიუგო რომაელმა, ჩვენ ავანთებთ ცეცხლს.

— მე არა მაქვს ცეცხლი.

მაშინ ბელაში, როგორც არ მეგობარი ჩვენ გავაბათ საუბარი, შენ უთუოდ მოგექებნება სადმეც ცოტა ღვინო.

— მე არა მაქვს ღვინო.

რომაელს გაეცინა.

— აი ეხლა მესმის რისთვის ხარ შენ ასე მწუხარე და არ გიყვარს მეორე სიცოცხლე. არ არის ღვინო, რა უნდა ვქნათ დავრჩეთ ასე, ხომ არის სიტყვა, რომელიც აბრუებს თავს როგორც თალეონის ღვინო.

ანიშნა ხელით და გაუშვა მონა და ისინი დარჩენ ორი ერთად, ხელისხმა ალაპარაკდა მოქანდაკე და თითქმ ჩამავალ მზესავით მიღიოდა მისი სიტყვე-

ბიდან სიცოცხლე და დაცარიელდენ სიტყვები გაუფერულდენ, თითქო ირყეოდენ უძლურ ფეხებზე, თითქო იქცეოდენ მთვრალი სევდის და სასოწარკვეთილების ღვინო.

— ეხლა შენი სტუმარი ვარ, და არ დაგტოვებ ასე ელიაზარ, ამბობდა ის, სტუმარომოყვარეობა სავალდებულოა მისთვისაც, ვინც საფლავშიაც იყო სამი დღე. ომ! როგორ ბნელა, და საიდან გამოიტანე შენ ეს ჩვეულება ულვინოთ და უცეცლოთ გაძლიერის. მე მიყვარს ცეცხლი, აქ როგორ მალე ბნელდება, შენ მართლა საინტერესო ხაზები გაქვს წარბებას და შებმზე, თითქო ფერფლით დამარხული ნანგრევებია სასახლეთა მიწის ძრის შემდეგ? მაგრამ რისთვის ხარ შენ ახირებული და ულამაზო ტანისამოსში. მე მინახავს საქმრონი თქვენ მხარეში და ისინი ატარებენ ამნაირ ტანისამოსს. რა სასაცილო ტანისამოსა, რა საშინელი ტანისამოსია.

— მაგრამ შენ საქმრო ხარ?

უკვე დიამაღა მზე და შავი გოლიათი ჩრდილი გამოიქცა აღმოსავლეთიდან, თითქო ვეებერთელა შიშველმა ფეხებმა დაიწყეს სიღაზე ხრაშენი, და ჩქარი სირბილის ქროლებმ ზურგში სიციეთ შეიწროლა.

— ბნელაში შენ უფრო დიდი მოჩანხარ ჩემი ელიაზარ! შენ თითქო გასუქდი ამ რამდენიმე წაჭ-ში, მართლა ხომ არ იკვებები შენ წყვდიადით?... მე კი მინდოდა ცეცხლი, თუნდა პატარა ცეცხლი, მე მცვა რაღაც, თქვენში ბარბაროსული ცვი ღამეები ცოდნია... რომ ასე ბნელი არ ყოფილობო მე შენ გეტყოდი, რომ მიკერი მე ელიაზარ, ღიას, მგონია შენ მიკერი... ხომ მართალია, მე ვგრძნობ რომ შენ იღიმები.

ღამე მოვიდა და მძიმე სიშავით გაიულინთა ჰერი.

— აი კარგი ის იქნება ხეალ, რომ ამოვა მზე. შენ უთუოდ იყი, რომ მე დიდებული მოქანდაკე ვარ, როგორც მედახინ მეგობრები. მე ვქმნი, ღიას, ამას ქვია შეემნა. მაგრამ ამისთვის დღეა საჭირო. ცივ მარმარილოს მე ვაძლევ სიცოცხლეს, მე ცეცხლს უდებ მრეკავ ბრინჯაოს... რისთვის შემახე შენ ხელი?

— წავიდეთ, უთხრა ელიაზარმა, შენ ჩემი სტუმარი ხარ. და ისინი წავიდენ სახლში და გძელი ღამე დააწეა მიწას. მონამ ბევრი უცადა ბატონს, შემდეგ კი მიყიდა მასთან, როცა მაღლა იღვა მზე. და შეხედა პირდაპირ, დამშველ სხივთა ქვეშ იჯდენ ერთი მეორესთან ელიაზარი და მისი ბატონი,

იცქირებოდენ ზევით და სდუმდენ. ატირდა შონა და ხმა მაღლა დაიყვირა.

— ბატონო ჩემო, რას ვხედავ ამას? ბატონო, რა დაგმართიათ? - იმ დღესვე ის დაბრუნდა რომში. მთელი გზა ავრელაუსი დაფიქრებული იყო და სდუმდა. ყურადღებით ათვალიერებდა ყველაფერს ხალხს, ხომალდს, ზღვას, თითქო სცდილობდა დამახსოვრებას. ზღვაში მათ ძლიერი ქარიშხალი წამოეწიათ და მთელი ეს დრო ავრელიუსი იმყოფებოდა ბაქანზე და გაუმაძრად ათვალიერებდა მოზღვავებულ ტალღებს. სახლში შეშინდენ რა შეამჩნიერ საშინელი გამოცვლა მოქანდაკე, მაგრამ მან დამშვიდა სახლობა, დიდი შვენელოვანად სთქვა:

— მე ვნახე.

და იმ კუჭყიან ტანისამოსით, რომელიც მას არ გამოუცვლია მგზავრობაში, ის შეუდგა მუშაობას და მორჩილად დაიწყებულა მარმარილომ ჩაქუჩის დაკვრაზე. დიდანს, გაუმაძრად მუშაობდა ის, არავის არ უშევებდა ოთახში და ბოლოს ერთ დღეს სთქვა, რომ ნაწარმოები უკვე გაათავა. და უბრძანა შეეყრიბათ მეგობრები, დამყასებელნი და მცოდნენი ხელოვნებისა... და უცდიდა ის მათ შვენიერ და ბრწყინვალე ტანისამოსში, გამოწყობილი ოქროთი და მეწარელით.

— აი რა შეექნი სთქვა მან დაფიქრებით.

შეხედს მეგობრებმა და ორმა მწუხარების ჩრდილმა დაფარა მისი სახე.

ეს იყო რაღაც საზიზღარი, რომელსაც არ ჰქონდა არც ერთი თვალისფერი ნაცნობი ფორმა. მაგრამ არ იყო მოკლებული რაღაც ახალ, უცნობ ხატებაზე ნასახს. წვრილ და მრუდე ტოტზე ანუ მის მოსიგავებაზე მრულედ და ახირებულად იდვა ბრმა ველური ნამტვრევები ქვისა, რომელნიც უღლნოდ სცდილობდენ თავისთავიდან წასვლას. შემთხვევით ერთ ამისთანა ველურად მყვირალა ადგილთან შეამჩნიერ მშევნიერად გამოქანდაკებული პეპელა, გაკვირვალე ფრთებით, თითქო მთრთოლვარენი ფრენის უღლონ ნდობილან.

— რატომ არის ეს საკვირველი პეპელა? გაუბედავად პეკინა ვიღაცა?

— არ ვიცი — უპასუხა მოქანდაკემ.

— ეს საძაგელი რამა, საბრალო მეგომარო, მომეცით ჩაქუჩი!

და ორი დარტყმით მან დაამსხვრია ქანდაკი, დატოვა ზარტო გამოქანდაკებული საკვირველი პეპელა.

ამის შემდეგ არაფერი არ შეუქმნია ავლერიუს! გულგრილად უცეცროლა ეხლა ის მარმალი-

ლოსა და ბრინჯაოს და თავის უწინდელ ლვთაებრივ ქმნილებათ, რომლებზედაც განისცენებდა უკვდავი სილაბაზე. ცდილობდენ — აღეძრათ მაში შემოქმედებით ძალა, დაპყავდათ — რომ დაეკირევებინათ სხვის შევენიერ ნაწარმოებთათვის, მაგრამ ის მალეც გულ გრილად უცქეროდა ცველაფერს და. ღიმილიც კი არ ათბობდა მის დალვრემილ სახეს. როცა მას დიდხანს და ბევრს ესაუბრებოდენ სილამაზეზე ის, დალლილი, ცივად უპასუხებდა.

— მაგრამ ცველა ეს ხომ სიცრუეა დღით, როცა მზე ანათებდა ის გადავიდოდა თავის ხელოვნურად მორთულ ბალში და მონახავდა რა იმ ადგილს, სადაც არ იყო ჩრდილი, დაუხურელ ტიტველ თავს და მღვთის თვალებს გაუქერებდა სიცხეს და ბრწყინვას. დაჟჭრინავდენ წითელი და თეთრი პეპლები, მარმალილოს წყლის ამოსალებიდან მოჩუხჩებდა წყალი — ნეტარად მთერალი სატირის მრუდე ბაგეთაგან. ის კი იყდა განუძრევლად, როგორც მერთალი ჩრდილი მისი, ვინც კი ბარმა სივრცეში, თვით უდაბნოს კლდოვან ბევრთან განუძრევლად იწვა პაპანება მზის ქვეშ

#### V.

და აი, მიიხმო თავისითან ელეაზარი თვითონ დიდებულმა, ლვთაებრივმა ავგუსტმა. ჩააცეს ელეაზარს ისევ სადღესაწაულო, საქორწინო ტანისამისი, თითქო ეამზა დააკანონა, რომ თვით მეორე სიკვდილამდე ყოფილიყო ის საქმარო უცნობი სარძლოსი. გავდა იმას, თითქო ძველი, დამპალი კუბი ისევ მოევარაყებინათ ოქროთი და ახალი ფარჩით შეემოსათ და მიჰყებოდენ მას სადღე-საწაულო გამოწყობილნი, თითქო მართლა მიდიოდა ქორწილის პროცესია და წინამდლვარნი ხმამალია აყვირებდენ საყვირთ, რომ მიეცათ გზა იმპერატორის გამოგზავნილთათვის, მაგრამ უდაბური იყო გზები ელეაზარისა.

მთელი სამშობლო მხარე სწყევლიდა სასწაულით ამდგარისას, და დაფრთხა და გაიქცა ხალხი მარტო გაგონებაზე ელეაზარის მოახლოვებისა. ვაინც ცვიროდენ ტყვიის საყვირები და მარტო უდაბნო უპასუხებდა თხის გამოძახვისათვის, მაგრამ უდაბური იყო

შემდეგ წაიყვანეს ზღვით. და ეს იყო ცველაზე უფრო მწუხარე ხომალდი, რომელიც ოდესმე მიდიოდა ხმელთა შეუა ზღვის ტალღებზე. ბევრი ხალხი მიდიოდა ამ ხომალდით, მაგრამ როგორც საფლავი იყო ის მშერდი და მდგმარე, თითქო სტიროდა წყალი უმედოო. მარტო-მარტო იჯდა ელეაზარი და მიეშვირა თავი მზისთვის, ყურს უგდებდა ზვირთის ღუღუნს და სდუმდა. შორს კი, როგორც

მწუხარე ჩრდილთა გროვა ულონოდ იწვენ მეზღვაურები. ამ დროს რომ მეზი გავარდნილიყო უცრად, ქარიშალს წითელი აფრა დაწეწუ — უთუოდ დაილუბებოდენ ცველანი, რადგან არც ერთს მათგანს — არ ჰქონდა ღონე და ნდობა სიცოცხლისათვის ბრძოლისა. გულგრილად შევიდა ელეაზარი უკვდავ ქალაქის ქუჩებში. თითქო მთელი სიმღიღე მისი, შენობათა საკეირველება, ბუბერაზივით, რომ ცაში ეზიდებოდენ, მთელი სილამაზე და მუსიკა სიცოცხლისა, იყო მხოლოდ გამოძახილი ქარიშხლისა უდაბნოში და მკრთალი სხივი გახურებულ სილისა. მიქროდა ეტლები, მიდიოდა გროვა ძლიერი ლამაზი და კაღნიერი იდამიანების, უკვდავ ქალაქის ამშენებელთა და მისი ცხოვრების ამაყ მონაწილეთა. ისმოდა სიმღერა — იცინდენ შადრევანები და ქალები თავის მარგალიტი სიცილით, ფილოსოფოსობდენ მთერალნი, ღიმილით პირზე უსმენდენ მათ ფხოზელნი და ნალები რეკლენ ქუჩებზე, რა ჩაეცემოდნენ ქვებს. ყოველ მხრივ მხიარულ ხმაურობით შემორტყმული, ცივი ღუმილის დაღით დადიოდა მიმე, მოღრუბლული აღმიანი და თესავდა თავის გზაზე რისხვის და ჯანყიან მწველ სევდას. ვის შეუძლია იყოს მწუხარე რომში? — გული მოღილდა მოქალაქეთ და ორი დღის შემდეგ მთელმა რომელი იცოდა ამბავი სასწაულით ამდგარისა და შიშით უფროხოდა მას. მაგრამ იყენენ ისეთი გულ-მაგარი აღმიანებიც, რომელთაც სურდათ გამოეცადათ თავიანთი ძალა და მათ დაუფიქრებელ ძახილზე მორჩილად მიღიოდა ელეაზარი სახელმწიფო საქმებით დატვირთული იმპერატორი ავგიანებდა მიღებას და მთელი შვიდი დღე დაღიოდა რომში სასწაულით ამდგარი. აი მოვიდა ელეაზარი მხიარულ ლოთან და ლოთი წითელი ტუჩების სიცილით შეხვდა მას.

— დალიე, ელეაზარ, დალიე! აი ბევრს იცინებს ავგუსტი, როცა მთერალს დაგიანხავს.

და იცინდენ გატიტვლებულნი ლოთი დერაკაცები და ვარდის ფოთლები ეკემოდენ ელეაზარის ლურჯ ხელებზე. მაგრამ შეხედა ლოთმა თვალებში და საუკუნოდ გათავდა მისი მხიარულება. მთელი თავისი სიცოცხლე ის დარჩა ლოთად, უკვე ეხლა აღარ სკომდა, მაგრამ მაინც დარჩა ლოთად, მაგრამ მხიარულ ზმანებათი წილ საშინელი სიზმრები შეიქნენ ერთად ერთ საზრდოდ მისი სულისა. აი მივიდა ელეაზარი კაბუკთან და ქალწულთან, რომელთაც უყვარდათ ერთმანეთი და იყვენ მშვენიერი თავიანთ სიყვარულში ამპარტაზნულად და მაგრად მოეხვია ხელები საყვარლისათვის. და კაბუკმა სოქეა ჩუმი შეცდებით:

— შეგხედე, ელეაზარ, იმზარულე ჩვენთან, განა არის რამე სიყვარულზე ძლიერი?

შეხედა ელეაზარმა და მთელ სიცოცხლეში ისინი განაგრძობდნენ ერთმანეთის სიყვარულს, მაგრამ მწუხარე და ბინდიანი შეიქნა მათი სიყვარული, როგორც საფლავზე ამოსული კვიპაროსები, რომელნიც ძირებს ასაზრდოებენ საფლავის გახრმნით და შავ მაღალ წვეროებით ამაოდ ეძებენ ცას ჩუქს სალამო უაშს, უცნობი ძალა სიცოცხლის მათ აგდებდათ ერთი მეორის წიაღში. მაგრამ მათი კოცა ერთად ერთოდა ცრემლს, ტებობა ტანჯვას და მონებად გრძნობდენ თავს: მორჩილ მონებად მთხოვნელ სიცოცხლის და უპასუხო მოსამსახურეებად მდუმარე არარაისა. მუდამ შეერთებულნი, მუდამ გაყრილნი ისინი ინთებოდენ ნაპერწყალივით, და როგორც ნაპერწყალი ჰქებოდენ უსაზღვრო წყვდიაღში.

იმ მივიღა ელეაზარი ამაყ ბრძენთან და ბრძენ მა რევა მას:

— მე უკვე ვიცი, ელეაზარ, რაც შეგიძლია შენ მითხრა საშინელი. როთ შეგიძლია შენ კიდევ დამაშინო მე? მაგრამ გავიდა სულ ცოტა ხანი და იგრძნო ბრძენმა რომ ცოდნა საშინელის — არ არის კიდევ საშინელი, რომ სიკვდილის მოჩვენება — არ არის სიკვდილი. და იგრძნო მან რომ სიბრძნე და უმეტება სულ ერთია უსაზღვროს წინაშე, რადგან არ იცის ისინი უსაზღვრობამ. და გაძქრა საზღვარი ცოდნისა და უცოდინარობისა, ჭეშმარიტებასა და სიცრუესა, სიმაღლესა და სიმდაბლეს და ჩამოწვა უსახო აზრი. მაშინ მოიკიდა მან ხელი ჭაღარა თავზე და დაიყვირა.

— მე არ შემიძლია ფიქრი — ასე იღუპებოდა გულ-გრილ შეხედვის გავლენით სასწაულით ადგომილისა ყველაფერი, რაც ემსახურება ცხოვრების დამყარებას, აზრს და ლენას მისას. და დაიწყეს ფიქრი, რომ საშიშარია მისი შეშვება იმპერატორთან, სჯობს მისი მოკვლა და როცა ჩუქმად დამარხავენ მერე იტყვიან, რომ დაიმაღა ის სადღაც. უკვე იღესებოდა მახვილები და ხალხისთვის თავდადებულნი ყრმანი თავიანთ თავს ამზადებდენ მკვლელებად, როცა ავგუსტმა მოითხოვა, რომ დილას ეჩვენებიათ ელეაზარი. და ამით დაშალა სასტიკი პლანი. თუ არ შეიძლებოდა სულ გადაეყენებიათ ელეაზარი, მოინდომეს ცოტათი მაინც შეემსუბუქებიათ მძიმე შთატებდოლება, მისი სახე რომ აზდენდა. ამ მიზნით კრებდენ ხელოვან მხატვართ, დაღაქებს, არტისტებს და მთელი ღამე შრომიბდენ ელეაზარის თავზე! მოარსეს წვერები და მისუს მას ლა-

მაზი და სასიმოვნო უსახედაობა. უსიამოვნო იყო სილურჯე მისი ხელებისა და სახისა და საღებავებით მოაშორეს ის. გაუთეთრეს ხელები და სახე ვარდის ფრად შეუღებელი. საზინდარი იყო ნაოჭები, ტანჯვის ნაკალევი და შეღებეს, ამოავსეს, გააშორეს სულ. ხელოვნურად გაუკეთეს პატარა ნაოჭები გულუბრუვილი სიკილისა და უბოროტო მხიარულებისა.

გულგრილად ემორჩილებოდა ელეაზარი ყველაფერს, რასაც უშვებოდენ და მაღა ის გადაკეთდა ბუნებრივად მსხვილ, ლამაზ მოხუცად, შშვიდ და ჩუქ პაპად მჩავალ რიცხვებან შეილიშეილებისა. კიდევ არ მოშორებდა ლიმილი, რომლითაც ის აბბობდა სასაცილო ზღაპრებს და კიდევ იყო მის თვალების კუთხეში სინაზე. საქმროს ტანისამოსის გახდა ვერ გაძედეს, მაგრამ თვალის გამოცვლა ვერ შესძლეს, ბუნდოვანი საშინელი მინები, რომლიდანც იცქირებოდა ადამიანებზე თვით მიუწდომელი იქ.

## VII.

ვერაფერი აგრძნობია ელეაზარს იმპერატორის ჩარდახის ღიღებულებამ, თითქო ვერ ხედავდა ის განსხვებას თავის დანგრეულ სახლსა, რომელსაც მოუხლოვდა უდაბნო, და ქვინ, მაგარ და ლამაზ სასახლეს შორის ისე გულგრილად იცქირებოდა და არ იცქირებოდა ის, როცა მიღიოდა. და მაგარი მარმალილო მის ფეხებ ჭვეშ ემსგავსებოდა უდაბნოს ქვიშას და მიაგადეს აუარებელი ადამიანები მისთვის სიცალიერეს ჰაერისას, მისი შეხედვის დროს სახეზე მას არ ხედავდენ. როცა მიღიოდენ ეშინოდათ არ მოყოლოდენ მისი თვალების საშინელ გავლენას, მაგრამ მძიმე ნაბიჯის ხმით მიხვდებოდენ თუ არა რომ ის უკვე გაშორდა მათ, აიღებდენ თავებს და მოშიშარი ცობის მოყარეობით უკერძოდენ მსუქან, მაღალ, ცოტათ წელში მოხრილ მოხუცს, ნელად რომ მიიმართებოდა იმპერატორის სასახლის გულში. თვითონ სიკვდილს რომ გაევლო მეტად არ შეეშინდებოდათ ადამიანებს, რადგან ამდენხანს ასე იყო, მკვდარმა იცოდა სიკვდილი, ცოცხალმა — სიცოცხლე და მათ შორის არ ყოფილა ხიდი. ამ არჩეულებრივამ ადამიანმა იცოდა სიკვდილი და იყო საშიშარი და საიღუმლო დაწყევლილი მისი ცოდნა. მოკლავს მაკ ჩვენს ლვთაებრივ იმპერატორს — შიშით ფიქრობდენ რომაელები და უღონო წყვევას უგზავნიდენ ელეაზარს, რომელიც ნელა მიღიოდა სასახლის სიღრმეში. თვითონ კვისარმაც უცოდა თუ ვინ იყო ელეაზარი და მოემზადა მის შესახედრად, მაგრამ იყო მამაცი ადამიანი, გრძნობდა დაუმორჩილებელ ძალას და ამისათვის საბედისწერო ბრძოლაში

არ ინდომა დაყრდომლდა გარეშეთა მოხმარებას. პირისპირ, ერთი ერთან შეეყარა ის ელეაზარს.

— ნუ შემომხედავ შენი თვალებით, ელეაზარ, უბრძანა მან შემოსულს; გამიგონია, რომ შენი თავი მიაგავს მედუზის თავი და ქვად აქცევს ყველას, ვისაც კი შეხედავს. მე კი მინდა დაგხედო შენ და გელაპარაკო, სანამ ქვად გადავიცეოდე — დაუშატა მან მეფური ხუმარობით, რომელიც შიშს არ იყო მოვლებული, მივიდა ახლოს, ყურადღებით გაარჩია მისი სახე და უცნაური სადღესასწაულო ტანისამოსი და მოტყუდა ხელოვნურად გაკეთებულათ, თუმცა თვალი ქონდა მერქელი და მახვილი.

— ასე, შესახედვად არა ხარ შენ საშინელი, პატივუმულო მოხუცო, მაგრამ მით უარესი ადამიანებისთვის, როდესაც საშინელი მიიღებს ასეთ სახეს ეხლა ვილაპარაკოთ.

ავგუსტი დაჟდა და ელაპარაკებოდა რა სახით იმდენს, ასამდენსაც სიტყვებით და იწყო საუბარი:

— რისთვის არ მითხარი გამარჯვება, როცა შემოდი?

— მე არ ვიცოდი რომ ეს იყო საჭირო!

— შენ ქრისტიანი ხარ?

— არა.

ავგუსტი კმაყოფილებით დააქნია თავი.

— ეს კი კარგია. მე არ მიყეარს ქრისტიანები. ისინი არყვენ ცხოვრების ხეს არ აცლიან მას ნაყოფით დაფუნდას და ქარიშხალს ატანენ მის სურნელოვან ყვავილს. მაგრამ ვინ ხარ შენ?

ცოტა ძალდატანების შემდეგ ელეაზარმა უპასუხა:

— მე მკვდარი ვიყავი.

— ეგ გამიგონია, მაგრამ ვინ ხარ ეხლა შენ?

ელეაზარი აგვიანებდა პასუხს დაბოლოს გაიმერა გულგრილად.

— მე მკვდარი ვიყავი.

— გაიგონე შენ, უცნობო, უთხრა იმპერატორმა, ჩემი სამეფოა ცოცხალთა, ჩემი ერი — ცოცხალთა და არა მკვარათა, და შენ აქ მეტი ხარ. მე არ ვიცი ვინ ხარ შენ, მე არ ვიცი შენ რა ნახე იქ, — მაგრამ თუ შენ სტუუ — მე მეზიზღება შენი ტული, თუ შენ მართალს ამბობ — მე მძულს შენი სიმართლე, მე ჩემს გულში ვერძნობ სიცოცხლის თრთოლებს და ჩემს ხელებში ძლიერებას. ამპარტავანი ფიქრები ჩემი, როგორც არწივები — სივრცეში დაფრენენ. იქ კი — ჩემს ზურგს უკან ჩემი უძლურის დაცვით და ჩემგან შედგენილი კანონების მეოხებით ცხოვრობს, შრომობს და მხიარულობს

ხალხი. შენ გესმის ეს საკვირველი ჰარმონია სიცოცხლისა? შენ გესმის ეს საომარი ძახილი, რომელიც აღმანს მიაწყვებს მომავალს და ითხოვს მას ბრძოლისათვის.

ავგუსტი მოლოცავივით აღაპყრო ხელი და სასოებით წაიიდახა:

— იყავ კურთხეულ დიდებულო, ღვთაებრივო სიცოცხლევ! — მაგრამ ელეაზარი სდუმდა და მომეტებული სისასტიკით განაგრძობდა იმპერატორი.

— შენ მეტი ხარ შენ საცოდავი დანარჩენი ხარ სიცვლილისადგან შეუჭმელი, ადამიანებს გვრი სევდას და სიცოცხლის სიძულვილს. შენ როგორც ბობოლა მოზირო სკამ მსუქან თავთავს სიხარულისას და ინთხევ ცრემლებს სასოწარკვეთილებისას და კიშისას. შენი სიმართლე მიაგავს დაჯანგულ მახვილს ღამის მკვლელის ხელში, და როგორც მკვლელს მე შენ გადაცემ სასასელად. მაგრამ მანამდე მე მინდა ჩაიგხედო შენს თვალებში. შესაძლებელია მარტო მშიშარებს ეშინათ მათი და მამაცებს ულვიძებენ წყურვილს ბრძენისას და ძლევისას, მაშინ სასელის კი არა, საჩუქრის ღირსი იქნები შენ, შემომხედე აბა მე, ელეაზარ!

პირველ წამში თითქო მეგობრი უყურებდას ისე ნაზი და წარმტაცი იყო შეხედვა ელეაზარისა. არა თუ საშინელებას, მშვიდობას პირდებოლდა ის და ნაზ საყვარლად, შემცუდებელ დათ, დედათ ქწვენა მას უბოლოო. მაგრამ თანდათან ძლიერდებოდა მისი კალთები და სუნთქვა გადაიქცა კოცნას მოწყურებულ ტუჩებად და ვიღაცას ციფი ბრჭყალები შეეხო მის გულს და ჩაფლო შიგ.

— მე ცუდად ვარ! — რქა გაფიტრებულმა ღვთაებრივმა ავგუსტიმა. მაგრამ, გახსოვდეს ელეაზარ! გახსოვდეს!

თითქო ნელა განირღვნ მძიმე საუკუნოებით დაკარგილი ბჭენი და ამოსულ ხვრელში ცივად და ნელა მოდილივით შემოვიდენ სიცალიერე და წყვდიალი და ჩაქრებს მზე, ფეხებისგან გამოაცალეს მიწა და ახურავი სასახლისა მოაშორეს თავს. და შესწყდა, გაყინული გულის ტკივილი.

— გახსოვდეს, გახსოვდეს, ელეაზარ! უბრძანა ავგუსტიმა. შესდგა უაში და საშინლად დაუხალოვდა დასაწყისი ყველა საგნისა მის დასასრულს. ახლად აშენებული დაიმსხვრა ტახტი ავგუსტისა და სიცალიერე იყო ავგუსტისა და ტახტის აღილას უხმოდ დაიქცა რომი და ახალი ქალაქი გაშენდა მის აღილას და გადაყლაბა სიცალიერე როგორც მოჩვენებული გოლიათები ჩქარა დაქცენ და გაქცრენ სი-

ცალიერებში ქალაქები; სიხელმწიფონი და შხარენი და გულგრილად ყლაპავდა მათ გაუმაძღარი, შავი მუცელი უბოლოოსი.

— გაჩერდი! — უბრძანა იმპერატორმა. უკვე გულგრილობა ისმოდა მის ხეაში და უღონოდ და-ეშვენ მისი ხელები და მოახლოებულ სიბნელესან ამაო ბრძოლაში დაქცერენ მისი არწივის თვალები.

— მომქალი მე შენ, ელეაზარ! — სთქვა მან უფერულად და ამ სიტყვებმა, უიმედობის სიტყვებ-მა იხსნა ის. მას მოაგონდა ხალხი, რომლის ფაშა-დაც ის არის მოწოდებული და მხსნელი. ტკიფილი იგრძნო მისმა მიმკვდარებულმა გულმა დასალუბად განმზადებულნი, მწუხარედ გაიფიქრა მან: ნათელი ჩრდილი უბოლოო წყვდიალში - საშინელებით გაი-ფიქრა მან: სუსტი ჭურჭელნი, ცოცხალი მოელვა-რე სისხლით, გულით, რომელმაც იცის მწუხარება და ლხენა, გაიფიქრა მან.

ასე ამ ფიქრით და გრძნობით ხან სიცოცხლის მხარეს სწევდა ის სასწორს ხან სიკვდილის მხარეს. ნელა დაუბრუნდა ის სიცოცხლეს რომ მის ტანჯვა-ში და ლენენაში ენახა შეველა უბოლოო წყვდიალი და ბნელის წინააღმდეგ.

— არა, შენ ვერ მომქალი მე, ელეაზარ! — სთქვა მან მაგრად... მაგრამ მე კი მოგკლავ შენ, გესმოდეს.

— იმ საღამოს განსაკუთრებული სიხარულით სკამდა ლეთაებრივი ავგუსტი საჭმელს, მაგრამ მალ-მალე ჩერდებოდა ჰაერში აღებული ხელი და უფერული ბრწყინვა სცვლილა მის თვალთა არწივისებურ ელვარებას და საშინელება გაყი-ნულ ტალღასავით გაყრთობოდა მის ფეხებთან. დამარცხებული, მაგრამ ცოცხალი ის ცივად უცდი-და თავის ჟამს, ის შავ აჩრდილივით მთელ სი-ცოცხლეში იდგა სასთუმალთან და მორჩილად სცვლილა ნათელ დღეებს მწუხარებაში. მეორე ლეს გახურებული რკინით, იმპერატორის ბრძანე-ბით ამოწვეს ელეაზარს თვალები და გამოუშვეს ის საშობლოში. მისი მოკლავ ვერ გადასწვიტა ღვთა-ებრივმა ავგუსტმა.

დაბრუნდა ელეაზარი უდაბნოში და მიიღო ის უდაბნომ ქარიშხალის სისინით და გახურებულ მხის სიცხით. ისევ იჯდა ქეაზე; ზეეით აეწია ვე-ლური წვერი და ორი შავი ორმო ამომწვარ თვა-ლების აღილას იქტირებოდა ცაზე. შორს იმაუ-რობდა წმიდა ქალაქი და ახლოს ყველაფერი მო-მკვდარიყო და მუნჯობდა. არავინ არ უახლოებე-ბოდა აღვილს, საღაც თავის უკანასკნელ დღეებს ათავებდა სასწაულით ამდგარი და მეზობლებს დი-

ლი ხანია დაეტოვებით თავიანთი სახლები. გახუ-რებული რკინით შემწყველეული თავის სიღრმეში, დაწყევლილი ცოდნა იმაღლებოდა იქ და არავის არ შეეღლო შეებედა ელეაზარისთვის. საღამოს, რომა მხე გადიდებოდა, გაწითლდებოდა და დასავლე-თისკენ გადიხრებოდა მასთან ერთად ნელად მიღიო-და ბრძა ელეაზარი. წამოკრავდა ქვებს ფეხს და და-ეცემოდა. მძიმედ აღგებოდა და ისევ მიღიოდა და განთავის მოახლოებაზე მისი შავი ტანი და აპყრო-ბილი ხელები მიემსგაცებოდენ ვეებერთელა ჯვარს.

ისე მოხდა, რომ, წავიდა ერთხელ ის და შემ-დევ არ დაბრუნებულა. აღბად აღსრულდა მეორე ცხოვრება ელეაზარის, სამი დღე სიკვდილის საი-დუმლო უძლურებაში ყოფილის და სასწაულით ამ-დგარის.

*ი. ეგრძელება*

## ტყვე

### ჭაღიანი.

(გაგრძელება\*)

— სადა ხართ, ყმაწვილებო, ამდენ ხანს?.. საყვედურით გამოეგება მოსულებს ერთი ცხვირ-წიწვეტებული, სახეზე გამხდარი, მხოლოდ ტანზე კი კარგა შემკვრივებული ქალი.

ეს იყო ესტატე მლვდლის ცოლი.

— ელისაბედ, მე შენი მაკვირვებს! სამოვარი აგერ მესამეჯერ გავაცხელებინე... ასე დაგვიანება როგორ იქნება?..

— კარგია, დედაკაცო, სეირნობა ნუ წაამწა-რე მაგ ხალხსა! - ოთახიდან გამოსძახა ვითომდა საყვედურით, მაგრამ მაინც რბილი კილოთ ეს-ტატე-მლვდლემა და თვითონ ანაფორის ჩატანით აი-ვანზე გამოვიდა.

— წავამწარე კი არა!... მობრძანდით, ბატო-ნებო, მობრძანდით!... ოოპ, ზურაბ, ზურაბ! — და მეტის მოფერებით და ლაქუცით გასწინ ზურაბისენ დიასახლისშა.

დიასახლისი თავისებურათ დიპლომატი და გამჭრიახი ქალი იყო. ის კარგა ხანი იყო ამჩნევდა, რომ ზურაბი უშისესით არ დადიოდა მათსა. მერმე კიდევ ესე ხშირად. უთუოდ თეკოზე უჭირავს თვა-ლით. ელისაბედთანაც ჰქონდა ამის შესახებ ლაპა-რაკი დიასახლისშა.

\*) ი. ეგრძ. ვერძ. № 3.

და ესტატე-მდვდელთან ერთად საოჯახო თა-  
თბილზე სამნივ შეთანხმდენ, რომ უკეთესს საქმროს  
თიკოსათვის ვერ მოძებნიდენ.

მხოლოდ ეხლა თიკოს თანხმობა-და იყო საჭირო.  
თიკოსაც თუ სურდა?

ესტატე-მდვდლის მეუღლე არც იმდენათ დაგი-  
დევდათ თანხმობას. მისი ფიქრით ადამიანის სულისა  
და სხეულის გაცემა, გათხოვება ისევ გარიგებით  
შეიძლებოდა. ეს წესი მას მაინც ჯერ საუკეთესოდ  
მიიჩდა, მაგრამ აქ კი... ესტატესთან, ელისაბედთან  
და განსაკუთრებით თიკოსთან იცოდა, რომ გარი-  
გებით, შუამავლობით ვერას გახდებოდა და ამიტო-  
მაც იყო, რომ მანაც მხოლოდ სურვილი გამოიტვა  
თიკოს და ზურაბის დაქორწინებისა.

თიკოს გულის ნადების გაგება კი მნელი იყო.

მნელი იყო ესტატეს მეუღლისათვის. იმიტომ,  
რომ გრძნობდა თიკოს გული მას არ ეყარებოდა.  
გრძნობდა რომ თიკო არ იყო მისი მეგობარი. თი-  
კო ამიყოთ და ამრეზით ექცეოდა მას. მაშ როგორ  
ან რა ერჩია თიკოსთვის. მხოლოდ თუ სწუხედა  
და გული შესტკიოდა თიკოსთვის იმიტომ, რომ  
აჯახური მომჭირნეობა, ერთ-გვარი ალლო ნათესავ-  
თაოვის შექტრვებისა უკარნახებდა ამას. ისე კი ვერ  
ამხელდა, თორებ კარგათ იცოდა, რომ არც მას  
უცვარდა თიკო. არ უცვარდა სწორედ იმიტომ,  
რომ ამიყო იყო თკე, თოთქო უკადრისი და ამ  
უკადრისობაში წმინდა და უმშიველო, როგორც  
გაყინული კამპამა წყარო. ეს სიწმინდე და უმში-  
კვლობაც კი აჯავრებდა დარბაისელ „ფოფოდისა“  
და კარგათ ვერ გაერკვია, მაგრამ ვინ იკის თიკოს  
ყარყარა კისერი ერთ დროს დადრეკილი ენახა,  
თიკოს მშჩინავი, შავი, სქელი თმა მედგარ ხელით  
გაწეწილი განეცადა... ვინ იცის მის გულს შეი-  
ძლება სიამეც ეგრძნო. მაგრამ ეს ბოროტი სურვი-  
ლი ისეთ ბნელს კუნკულში იყო ქვემძრომათ შეკვ-  
ცილი, რომ შეგნების მხოლოდ მკრთალი ნათელი  
ადგა და ამიტომ თვითაც კარგათ არ იცოდა—მარ-  
თლა იმებოდა თიკოს ცუდი თუ არა. ერთი კი  
იყო მისთვის გარკვეული: თიკო რაღაც სხვა ნაი-  
რი, გამოურკვეველი არსებაა.—ჩვენ არა გვგავს.  
მაშასადამე რაც დროით ჩავაყნებოთ ჩვენებურს კა-  
ლაპოტში ისა სჯობია, თორებ შემდეგ გვიანდა  
იქმნება, ჩვენს გაკვერილს გზას აცდებათ.

მნელი იყო ესტატესთვისაც თიკოს საიდუ-  
მლოს მიღწევა. მას მხოლოდ უცვარდა ტებილის,  
ქრისტიანულ-ნათესაცური სიყვარულით თიკო; თიკო-  
საგანაც გრძნობდა მისდამი სითბოს, მაგრამ ისე  
შორი-შორს იყვენ მათი სულიერი და მიწიერი

გზები, რომ შესაიღებლოებას ესტატე ვერას გზით  
ვერ გასწევდა. არცა ცდილობდა ამ როლის ტეირ-  
თვას. მას უკვარდა თიკო, შეხაროდა მია სიყმაწვი-  
ლეს და... როგორც მას, თიკოს უსურვებოდა!..  
სხვა არც ესტატეს სურდა-რა. უნდოდა კეთილი,  
მისებური სიკეთე: გათხოვება, კარგი ქმარი, კარგი  
მდგომარეობა თიკოსთვის და ევონა, რომ თიკოც  
ამ სიკეთეებს არ გადაცდებოდა.

მნელი შეიქნა ელისაბედისთვისაც თიკოს გუ-  
ნების გამოუნობა. თიკო მუდამ ხან ხუმრიბით ხან  
უხუმრათ გაუსხლტებოდა ხულმე მის ტკბილს, დე-  
და-შვილურ გამომძიებლობას. მაგრამ მანაც არ  
კარგადა იმედს დედის გულიც, რომ თიკო ჰკვი-  
ნი, თიკო ზრდილი ესეთსაც ღირსებით შემკულ  
ახალგაზდას, ზურაბს ორჩევდა.

ამიტომ იყო, რომ სამივენი საოჯახო თათბირ-  
ზე შეთანხმდენ, ანუ უკეთ გამოსთქვეს სურვილი:  
კარგი იქმნებოდა თიკო ზურაბს გაპყოლოდათ.

ჩაი აიგანზე გამოიტანეს.

ზურაბს არ მოშორდა დიასახლისი. გვერდით  
მიუჯდა და გადამეტებულის თავაზიანობით უმასპინ-  
ძლდებოდა.

სტუმრები გამხიარულდენ, მაგრამ ყველაზე  
მეტათ თიკო.

ელისაბედის სიხარულს საზღვარი არა ქონდა.  
ზურაბი ხომ შეფრთვით შესკეროდა.

მაგრამ ყველაზე მეტათ ეტყობოდა ტიტიკო  
იყო მოჯადოებული. მისი ჩოფურა, ჭმუხი სახე სა-  
ნეტარო ლიმილის ლარებათ ქცეულიყო და უჩევეუ-  
ლო ელფერი დადებოდა. ეტყობოდა ეს სახე არ  
იყო ლამილს ჩვეული და თოთქა იბრძოდა მის სა-  
ხეზე ორი გამომეტყველება: ნეტარებისა და პირ  
ქუშობისა. მაგრამ აგერ ძლია საღმა, ძალაუტანე-  
ბელმა სიცილმა და მისი ბაგე-პირი ფართო სიმოვ-  
ნებათ გაიშალა.

ფაცია თვალს არ აშორებდა ტიტიკოს. უეც-  
რად მისი სახეც გაკვირვებათ იქცა. იგი უკმაყო-  
ფილო წმოდგა სუფრიდან და იონის მეორე მხა-  
რეზე გადავიდა.

თვალები სიბნელეს გაუშტერა.

დიდხანს მოსდიოდა მის ყურს სუფრაზე  
მსხლომთ მხიარული ჭრიამული. მაგრამ აი წმოი-  
შალენ. ტიტიკოც, ვით ნაწვიმარზე ცხოველ მზის-  
გან გასპეტაკებული მცენარე, სახე-გაშლილი, ბედ-  
ნიერი კიბისაკენ გაემართა.

ფაცია დაინახა და გონებაში გადაწყვიტა; — ან  
ეხლა, ან არასოდეს.

გადაჭრით გადაღება ნაბიჯი და მასე დაწესია  
ტიტუკოს.

— ტიტიკო, თქვენ არ წამოხვალთ? ტიტიკო  
შეკრთა ამ კითხვაზე, პირველად კარგად ვერც გაიგა.

— წავიდეთ, ტიტიკა, მე გთხოვთ.

-- კი, მაგრამ აკი ელისაბედმა გვთხოვა. მაუკედით კიდევ, უზრდელობა იქმნება,

— არაფერია, ელისაბედთან მე მოვიხდი ბობოლიშ...

ტიტიკო ჩუმალ იყო.

-- არც ისე შორსა ვართ. გეზარებათ?

ტრიტიონს გული ჩაწყდა. თითქმ საუკეთესო  
სათამაშოს ხელიდან ართმევენ ბავშვაო. თითქმ მშვე-  
ნიერ წიგნის კითხვა დაუშალესო. გაახსენდა მამა  
მისი „ბუზბუნა ყაზახი“, გაახსენდა სკოლა, გაახ-  
სენდა ციხე და იქაური ზედამხედველები. ყველგან  
რომ შხამშვდენ ხოლმე ბეჭნიერ წუთებს. არ აკე-  
თებინ ებდენ იმას, რასი გაკეთება ცურიონ უნდოლა.  
მერე, აქ რომ არც ერთი არის, არც შეორე? აქ  
რომ ფაცია. ამხანაგი ფაცია. რიგიანი და წესიერი  
ადამიანი. ან და რა უბუნებო მოოხოვნა? ფაცია  
ეუბნება, რომ სახლში წავიდენ. ფაციას სკოლაში,  
ფაციას ბებერ დედასთან, საცა სტუმრათ არის ტი-  
ტიკო ჩამომხტარი. რა არის აქ გასაკვირი? რამდენ-  
ჯერ მომხდარა ევრე? სტუმრათ ყოფილან ორივენი  
და შემდეგ სახლში ერთად დაბრუნებულან. ამას  
მოელი სოფელი მზეჩვა. არც არავინ ჭორიე-  
ნობს მათზე. ფაციას დიდი პატივისცემა აქვს სო-  
ფელში ღამსახურებული და მასაც ამ მხრივ მაინც  
ყველა ენდობა. იცინ, რომ ის უბმარი კაცია.  
ფუქსავატურს არას იკადრებს. ეგეც არ იყოს ექვათ  
ყველა ლაპარაკობს, რომ ევ რაი დანიშნულებიც  
არიანო. მაშ რათ ჩაწყდა გული? რათ შეკროთ  
ფაციას სიტყვებმა? თუ ფაციაც მიმშვდარია? რას?

ტიტიკას გონების წინ თიკას ნაკვთმა გაირ  
ბინა და ითქვა მეტი კულის დაწყობის იგრძნო.

ფიქრიც ველარ შესძლო. სახე მთლად მოეღუ  
შა და გაუბოროტდა. კიდევ კარგი, რომ დამე იყო  
და თავია ვერ შეატყობინა მოელვარებას.

ორი წელის შემდეგ განცვიფრებული მასპინ  
ძლებს ვამოეთხოვენ ორივენი და გასწიქს სოფლი  
ორთობით.

გზაზე ცოტა მოჯობინდა ტიტიკა.

გონებაშ სძლია უეცრად მოფრენილ უცხო გრძნობას თიკოსადმი და დაუდასტურა, რომ მისი „მეუღლე“ მხოლოდ ფაცია უნდა იყვას.

ପାଠୀର୍ଥ୍ୟକା

ეს ამბავი ფაციასაც ამცნო.

ფულისაც მეტი არა უნდოდა-რა. ის, როგორც  
პრაქტიკული ქალი მაშინვე შეუდგა იმის მოსაზ-  
რებას თუ შემოდგომისთვის სად იცხოვრებდენ  
ორივენი, როგორ მოწყობოდნენ. მოლაპარაკების  
შემდეგ დასკვნეს, რომ ისევ თბილისს წასულიყვნენ  
და ერთს გაკვეთილებით ერჩინა თავი, მეორეს კი  
პრეზაში მუშაობით.

მთვარე უკვე ამაყოთ შეეჭრა ცის ტატნობს და გამოაჩინა ფატიას კმაყოფილი და ტიტკოს თითქო ბეღას შერიგებული სახე-პირი.

ტიტიკ მანაც გრძნობდა, რომ მისი გონების გალიაში უმშეოთ ფრთქიალებდა. სანეტარო, მაგრამ აწ საუკუნოთ მისთვის დაღუპული გრძნობა...

ესტატე მღვდლისას კი ელისაბედი და ლიანა-  
ხლისი ვახშმის მოსაკრირებლათ წავიდენ.

ზურაბი და თიკო აივნის პნელ-ყურეზე განმარტოვდენ.

ხოლო სანდრო და ესტატე-მდვედელი ერთ-ხანს  
საუბრობდებ აივნის მეორე მხარეზე, სუფრასთან,  
მაგრამ მთვარემ ამოჰყო თუ არა თავი, სანდრო  
განშორდა მას და ეზოში გავიდა. მიმავალმა დაინა-  
ხა განმარტოებული თიკო და ზურაბი, იასონი და  
ციფალუქი.

გულში გაეცინა და მთვარეს შეხედა:

— ჰმ, რამდენ შეყვარებულებს მოსავ შენის  
ზღაპრულის სხივით!.. იo აგერ ერთი წყვილი, მე-  
ორე... ჰა, ჰა! მესამენი კიდევ გაგვექცენ, გზაში  
ატარა... .

გაახსენდა ლაკია და ტიტია.

— ბელნიერი ყოველა ეს კუთხე!

გაიფიქრა გულში და ერთი მძლავრათ ამონ-სონთან.

Digitized by srujanika@gmail.com

(ରାଜାରହିଣିଓ ଶ୍ରୀମତୀ)

## გ. ჭალადიდელი.



თხზულებითა გამოცემის გამა.

## „ოქროს ვერძის“ ქრონიკა.

— დღეს ქალაქის თეატრში გაიმართება რუსთაველის სამართლი. პირველ განეოთვილებაში დაიდგმება რუსთაველის ცოცხალი ქებლი. აქედა წაიკითხავს თავის ლექს „სუდ მნათო“, დ. კლდიაშვილი წარმოთქვას მიმართებს. შეთქმულების გადასახმა გრ. რაბაძე წაიკითხავს ლექციას „რუსთაველის ხელოვნება“. შესასე განუთვალებაში ჩატარ შარაშიძის ასული, გრ. რაბაძე და სხვ. წაიკითხავს ადგილებს „გეფენის-ტეატრისადან“. დასასრულ გაიმართება როცხნალი სურათები:

— ქუთაისში ჩამოსულია „მოგზაურმა დასმა“ ქრთი წარმოდგენა გამართა შაბათს 15 ივნისს. დასი ეთეფილა გახეობში და რამდენიმე წარმოდგენა გაუმართავს სხვა და სხვა ადგილს. ქუთაისიდან დასი მიემგზავრება რაჭაში. შეტად სასურველია ასეთი პროტურული შოდგა-შების ჩვენი ახალგაზდა დასისა.

გ. ჭალადიდელს საატიო ადგილი უჭირავს ჩვენი ლიტერატურის მეორე ხარისხევან მგლნებში. „მახსოვს პირველად სასწავლებელში“, „მიყვარს ფაცხა მე მეგრული“ და სხვა მიგვარ ლექსების ავტორის თხზულებათ შეკრება საჭირო იყო ჭალადიდელის სახელის ღირსეულ პოპულიარიზაციისათვის.

ამ მიზანს მიაღწია მგლნის ვაჟმ, ბორისმა, რომელმაც „სამდროვო გამომცემლობის იმერთის“ ხელმძღვანელის ის. კვიცარიძის დახმარებით, სუფთათ და ლამაზით გამოსცა თავის მამის ნაწარმოები. კრებულს წინ ახლავს ჩვეულებრივ შინაარსიანად, იონა მეუნარგიას მიერ შედგენილი ბიოგრაფია მაქსიმ კოჩაკიძისა (ჭალადიდელის), საღაც ბიოგრაფიის შემადგენელს, მგლნის ცხოვრების აწერასთან ერთად, მოჰყავს საყურადღებო ცნობები 70 და 80 წლებზე.

კრიტიკული ეტიული ეკუთვნის ივ. გომართელს.

ვინც დაინტერესებულია ჩვენი ლიტერატურით, მისთვის ახალი გამოცემა სასარგებლო წიგნია.

— ქუთაისის დრამატული საზოგადოების გამგებას თავს ანებებს თანმდებობას. ამ შემთხვევას შემდგრ ნომერში გუძღვნით წერილი.

— გრაგოლ რაბაძემ დასწერა ლეგენდა ნიღალსას ეყვანილი.

— დღეს დ. ხონშა ახსნება საზაფხულო სეზონი.

— შენალ გაზეტების გნოტორაშ „იმერთში“-ში მიაღთ ან. ხოშტარია-ერისთავის ქალის რამანი „შოდგ გზაზე“.

— ქუთაისში არსებულ „რუსთაველის საზოგადოების“ განუთვალება.

— მოხატვის ეხლად დარსებულ „თაგისევიალ თურ“-ში, თანამშრომლებად იწევენ ჩვენ თანამებამულებ. ღვინიაშვილს.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.

გამართულია ხელისმოწერა 1913 წლის ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „სახელმწიფო გამოცემა“ წელიშაბურ მეოთხე. 1913 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოციოდა. გაზეთს 1913 წელსაც ექნება სურათებიანი დამატება.

## პრემია

( კ ვ ი ს ა ღ ა ღ ი თ )

წლიური ხელის მომწერნი 1913 წელის განმავლიაში

## მილეგენ

### ო რ ვ ი გ ნ ს :

1) უცხოეთის მწერლები.

ზომით არა ნაკლები 400 გვ. დაურიგდება  
იანვრის დასასრულს.

2) ქართველი მწერლები.

ზომით არა ნაკლებ 500 გვ. დაურიგდება  
ეკენისთვეში.

გაზეთის ფასი; როგორც თვილისში ისე, მის გარეთ ლირს წელიწადში ისევ 8 მანეთად და 10 შ. ერთი თვით 15 შაურათ.

გაზეთის ფასი თვილისში და მის გარეთ წლ. 8 მ. 10 შ. 11 თ. 8 მან., 10 თ, 7 მ., 10 შ: 9 თ. 6 მან. 5. შ., 8 თ. 6. მან., 7 თ. 5 შ., 5 თ. 3 მ. 5 შ., 4 თ. 3 მ. 3 თ. 2 მ. 5 შ., 2 თ. 1 მ. 10 შ. 1 თ. 15 შ. საზღვარგარეთ: წლ. 11 მ. 10 შ. 11 თ. 10 მ. 15 შ., 10 თ. 10 მ., 9 თ. 9 მ., 8 თ. 8 მ., 7 მ., 6 თ. 6 მ., 5 თ. 5., მ. 4 თ. 4 მ., 3 თ. 3 მ., 2 თ. 2. მ., 1 თ. 1 მ., ცალკე ნუმერი ყველგან შაურათ; დამატებიანი ნუმერი შვიდი კაპ. ადრესის გამოსაცვლელი ფასი ქალაქიდან ქალაქ გარეთ, ან ქალაქ გარეთისაზე 2 კაპ. დანარჩენ შემთხვევაში ადრესის გამოცვლა უფასოა.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან. მხოლოდ სრული თვეებით.

ხელისშოწერა გამართულია. 1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეჭოდან), რომელიც ღიაა, ღილის 9 ს. საღ. 8 ს-დი უქმევებში ღილის 11 ს-დან 3 ს. 2) ქ. შორის ერა კითხ. გამაცრცელ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში: სასახლის ქ., თვალ-აზნაურთა ქარვასლა. ფაზტრით: თიფლის, გრუ. გაზ. „Сахалхо газети“ იუნ. 190.